

საქმის დასახელება - მასლოვასა და ნალბანდოვის საქმე
რუსეთის წინააღმდეგ

საჩივრის ნომერი - [839/02](#)

მოპასუხე სახელმწიფო - რუსეთი

გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 24/01/2008

შედეგი:

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი

დაირღვა კონვენციის მე-38(1) მუხლი

განსხვავებული აზრი: არა

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი 35) დასაშვებობის კრიტერიუმი

(მუხლი 35-1) შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა

(მუხლი 3) წამების აკრძალვა

(მუხლი 3) არა ადამიანური მოპყრობა

(მუხლი 3) დამამცირებელი მოპყრობა

(მუხლი 3) წამება

(მუხლი 38) საქმის განხილვა და მისი მოგვარება

(მუხლი 41) სამართლიანი დაკმაყოფილება

პირველი სექცია

მასლოვასა და ნალბანდოვის საქმე რუსეთის წინააღმდეგ
(CASE OF MASLOVA AND NALBANDOV v. RUSSIA)

(განაცხადი no. 839/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

24 იანვარი, 2008 წელი

საბოლოო ვერსია

07/07/2008

გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. შესაძლოა, ის დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეში Maslova and Nalbandov v. Russia

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ლუკის ლუკედესი, თავმჯდომარე,
ნინა ვაჯიჩი,
ანატოლი კოვლერი,
ელიზაბეტ შტაინერი,
ხანლარ ჰაჯიევი,
დინ შპილმანი,
სვერე ერიკ იებენსი, მოსამართლეები
და სორენ ნილსენი, სექციის რეგისტრატორი,
იმსჯელა განმარტოებით 2008 წლის 3 იანვარს,
და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე დაიწყო განაცხადით (no. 839/02) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს 2001 წლის 10 ივლისს წარუდგინა რუსეთის ორმა მოქალაქემ – ქ-ნმა ოლგა იურის ასულმა მასლოვამ („პირველი განმცხადებელი“) და ბ-ნმა ფიოდორ ვართანის ძე ნალბანდოვმა („მეორე განმცხადებელი“) – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად. მათ სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ-ნი ი. კირსანოვა და ქ-ნი ო. შეპელევა, სამართლის ექსპერტები, რომლებიც მუშაობდნენ ქ. ნიჟნი ნოვგოროდში.
2. რუსეთის მთავრობას („მთავრობა“) თავდაპირველად წარმოადგენდა ბ-ნი პ. ლაპტევი, რუსეთის ყოფილი წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, შემდეგ კი მისი წარმომადგენელი ქ-ნი ვ. მილინჩუკი.
3. კერძოდ, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ 1999 წლის 25 ნოემბერს სახელმწიფო მოხელეები მათ არასათანადოდ მოეპყრნენ და ეს შემთხვევა ეფექტიანად არ გამოიძიეს – კონვენციის მე-3, მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევით.
4. 2006 წლის 12 დეკემბერს სასამართლომ განაცხადი გამოაცხადა ნაწილობრივ დასაშვებად.
5. შემდგომში განმცხადებლებმაც და მთავრობამაც, თითოეულმა, წარმოადგინა წერილობითი ჩვენება (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

6. განმცხადებლები დაიბადნენ, შესაბამისად, 1980 და 1982 წლებში და ცხოვრობენ ქ. ნიჟნი ნოვგოროდში.

A. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

7. 1999 წლის 4 და 24 ნოემბერს პირველი განმცხადებელი მოწმის სტატუსით სარგებლობდა საქმეში მკვლელობის გარშემო, რომელიც ჩაიდინეს ერთობლივად პოლიციამ და ბრალდების მხარემ.
8. ჩანს, ეს ხელისუფლებები განუწყვეტლივ მოითხოვდნენ მისგან, მიეცა ჩვენება შინაგან საქმეთა სამინისტროს ნიჟნი

ნოვგოროდის რაიონული დეპარტამენტისთვის (Нижегородское районное управление внутренних дел – “the police station”).

9. ასევე ჩანს, რომ რაღაც მომენტში, გამოძიებისას, ეჭვმიტანილმა B.-მ განაცხადა, თითქოსდა პირველმა განმცხადებელმა ამოიღო მოკლულის ნივთები.
10. პირველი განმცხადებლის თქმით, გამომძიებელი Zh. მოითხოვდა მისგან, რომ მისულიყო 1999 წლის 25 ნოემბერს, 12:30 საათზე. მთავრობამ განაცხადა, რომ პირველ განმცხადებელს აიძულებდა პოლიციელი K. და არა გამომძიებელი Zh.

B. 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენები

11. განმცხადებლებმა წარმოადგინეს მოვლენათა შემდეგი შეფასება. მთავრობას არ გამოუთქვამს რამე განსაკუთრებული კომენტარი ამასთან დაკავშირებით.

1. დაკითხვა პოლიციელების – Kh.-სა და K.-ს მიერ

12. პირველი განმცხადებელი დროულად გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და ის დაკითხეს. თავდაპირველად დაკითხვა განახორციელა პოლიციელმა Kh.-მ და K.-მ. პოლიციის განყოფილების 63-ე ოთახში.
13. პოლიციელმა მოსთხოვა განმცხადებელს ელიარებინა, რომ მან მიიღო გარდაცვლილი პირის საკუთრება. პირველი განმცხადებლის უარზე მას დაუწყეს ყვირილი და დამუქრება, რომ მის წინააღმდეგ აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს. მათ აიღეს მისი შარფი და რამდენჯერმე მოარტყეს სახეში.
14. ამის შემდეგ K.-მ დატოვა ოთახი და პირველ განმცხადებელთან დარჩა მარტო Kh. მან კარი შიგნიდან ჩაკეტა და შეუდგა მასზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. Kh.-მ პირველ განმცხადებელს ხელები შეუკრა ბორკილებით და ურტყამდა თავსა და სახეზე. მან გააუპატიურა განმცხადებელი პრეზერვატივის გამოყენებით, შემდეგ კი აიძულა, ჰქონოდა მასთან ორალური სექსი.
15. KH. შეაჩერა ხმაურმა დერეფანში და კაკუნმა კარზე. განმცხადებელს ნება დართეს, წასულიყო საპირფარეშოში და მოეწესრიგებინა თავი.

*2. დაპირისპირება ექვმიტანილ B.-სთან და მოვლენები
მომდევნო სამი საათის განმავლობაში*

16. დაახლოებით 14:00 საათისათვის პირველი განმცხადებელი დაუპირისპირეს ექვმიტანილ B.-ს. მისი თანდასწრებით, მან კვლავ უარყო მკვლელობაში მონაწილეობა.
17. ამის შემდეგ Kh.-მ და K.-მ პირველ განმცხადებელს ცერა თითები შეუკრეს და ურტყამდნენ მუცელში. მათ აირჩინა დი დაადეს პირველ განმცხადებელს სახეზე და დახრჩობის მდგომარეობამდე მიჰყავდათ ჰაერის მიწოდების შეზღუდვით. გარდა ამისა, საყურეებზე მიამაგრეს სადენი, რომელშიც გაატარეს ელექტროდენი. ზემოხსენებულ ქმედებებს თან სდევდა აღიარების მოთხოვნა.
18. როგორც ჩანს, პირველი განმცხადებელი საბოლოოდ მაინც დათანხმდა, ეღიარებინა სადავო ქონების მიღების ფაქტი და დაეთანხმა, დაეწერა აღიარებითი ჩვენება ფურცელზე. რამდენადაც პირველი განმცხადებელი აღზნებული იყო, სათანადოდ ვერ დაწერა და ორჯერ სცადა ეს. აღიარება მიმართული იყო ადგილობრივი რეგიონის პროკურორისადმი.
19. Kh.-მ და K.-მ პირველ განმცხადებელს მოსთხოვეს, რომ დედამისისთვის დაევალებინა მისი ბლოკნოტის მოტანა, რომელშიც ეწერა მეგობრებისა და ნაცნობების ტელეფონის ნომრები მისამართებითურთ.
20. პირველმა განმცხადებელმა დაურეკა დედამისს და 16:40 საათზე ეს უკანასკნელი მოვიდა პოლიციის განყოფილებაში მეორე განმცხადებელთან ერთად, თან მოიტანა საჭირო ბლოკნოტი. პირველი განმცხადებლის დედა და მეორე განმცხადებელი იდგნენ მისაღებში, 63-ე ოთახის მახლობლად.
21. 17 საათზე 63-ე ოთახში შევიდა გამომძიებელი S. – ადგილობრივი პროკურატურიდან – ვინც პირველი განმცხადებლისაგან შეიტყო, რომ იგი იყო მოსკოვის ფეხბურთის გუნდის, ცეესკა-ს გულშემატკივარი და დაიწყო მისი შეურაცხყოფა, თავში ურტყამდა მეორე განმცხადებლის კაშნეთი, თან ითხოვდა, შეეგინებინა ამ კლუბისათვის.

3. პირველი განმცხადებლის დაკითხვა Zh.-ს მიერ

22. ცოტა ხნის შემდეგ Kh.-მ პირველი განმცხადებელი გადაიყვანა ქ. ნიჟნი ნოვგოროდის ნიჟნი ნოვგოროდის რაიონის პროკურატურაში (*Прокуратура Нижегородского района г. Нижний Новгород* – “the local prosecutor’s office”), მე-3 ოთახში, რომელიც მდებარეობდა იმავე შენობაში.
23. ადგილობრივი პროკურატურის გამომძიებელმა Zh.-მ დაკითხა პირველი განმცხადებელი მის აღიარებასთან დაკავშირებით.
24. დამატებითი წნეხისათვის, გამომძიებლებმა ამავედროულად დააკავეს და დააპატიმრეს მისი დედა. როგორც ჩანს, პირველი განმცხადებლის დედამ პატიმრობაში გაატარა 2 საათი.

4. მოვლენები 17:30–19:00 საათამდე

25. მეორე განმცხადებლის თქმით, დაახლოებით, 17:30 საათზე გამომძიებელმა S.-მა მისაღებში დაინახა მეორე განმცხადებელი. S.-მა დაჟინებით მოსთხოვა მეორე განმცხადებელს, დაეტოვებინა შენობა, ხელი ჰკრა ზურგში, მიაწვა გასასვლელისაკენ, შემდეგ კი ხელი წაავლო და ძალით წაათრია 54-ე ოთახისაკენ, სადაც იმყოფებოდა ორი გაურკვეველი ვინაობის პოლიციელი.
26. ამის შემდეგ S.-მა კარი ჩაკეტა შიგნიდან, რამდენჯერმე დაარტყა სხეულზე მეორე განმცხადებელს და თავზე გადაუჭირა მოსკოვის ცეესკა-ს გუნდის მისივე შარფი.
27. S.-მა მეორე განმცხადებელი გადაიყვანა მე-7 ოთახში და, Kh.-სა და გამომძიებელ M.-ის თანდასწრებით, ცემა დაუწყო მას, მოითხოვდა რა, ეგინებინა მოსკოვის ცეესკა-ს კლუბისათვის. უარი რომ მიიღო, შარფი შემოახვია კისერზე და ახრჩობდა, თან, იმავედროულად, ურტყამდა სხეულზე. მეორე განმცხადებელი დანებდა.
28. ამის შემდეგ Kh.-მ, Zh.-მ და M.-მა მეორე განმცხადებელი იქვე, ახლო მდებარე მაღაზიაში გაგზავნეს ალკოჰოლის, სიგარეტისა და საჭმლის საყიდლად და უკან დაბრუნებული გააგდეს შენობიდან.

5. მოვლენები 19:00–21:30 საათამდე

29. დაახლოებით 19:00 საათისათვის S. და M. მივიდნენ მე-3 ოთახში, სადაც გამომძიებელი კითხავდა პირველ განმცხადებელს. დაკითხვის შემდეგ განმცხადებელი არ

- გაუშვეს გარეთ და დაიწყეს სმა. პირველი განმცხადებლის თქმით, მას უარი უთხრეს გაშვების თხოვნაზე.
30. მისი მოთხოვნის შესაბამისად, პირველი განმცხადებელი თანმხლებთან ერთად გაუშვეს საპირფარეშოში, შენობის მესამე სართულზე, სადაც მან წარუმატებლად სცადა ვენების გადაჭრა მარცხენა მაჯაზე.
31. იგი დაბრუნდა მე-3 ოთახში და მომდევნო ორი საათის განმავლობაში გააუპატიურეს Zh.-მ, S.-მა და M.-მა. როგორც ჩანს, მათ გამოიყენეს პრეზერვატივები და გაუპატიურების შემდეგ ნაჭრებით გაასუფთავეს დანაშაულის ადგილი. ჩანს, Kh.-მ დატოვა ოთახი პირველი განმცხადებლის საპირფარეშოდან დაბრუნებამდე და გაუპატიურებაში მონაწილეობა არ მიუღია.
32. 21:00 საათზე S. წავიდა. მომდევნო საათის განმავლობაში Zh.-მ და M.-მა კვლავ გააუპატიურეს განმცხადებელი. დაახლოებით 22 საათისათვის იგი გაათავისუფლეს.

6. მოვლენები 22:30 საათის შემდეგ

33. 22:30 საათის შემდეგ პირველმა განმცხადებელმა მიაღწია თავისი ნაცნობის – Rb.-ს ბინამდე. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეუერთდნენ Ia. და Ea. დალაპარაკების შემდეგ Ea.-მ დაურეკა პირველი განმცხადებლის მშობლებს და უთხრა მათ, რომ Rb. და Ia. გაჰყვებოდნენ პირველ განმცხადებელს საავადმყოფოში.
34. 01:20 საათზე ისინი მივიდნენ 21-ე საავადმყოფოში და პირველმა განმცხადებელმა უთხრა დამხმარე ექთანს, რომ ის გააუპატიურეს პოლიციის განყოფილებაში. ექთანმა და ექიმმა იგი არ გასინჯეს, არამედ ურჩიეს მიემართა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსათვის. განმცხადებელმა იუარა, რადგან ბიურო მდებარეობდა პოლიციის განყოფილებასთან ახლოს. მაშინ მას ურჩიეს, წასულიყო სხვა რაიონის ბიუროში. არ ჩანს, რომ განმცხადებელმა ეს გააკეთა.

C. სისხლის სამართლის გამოძიება

35. ჩანს, 1999 წლის 26 ნოემბერს პირველმა განმცხადებელმა მიმართა პროკურატურას ბრალდებით, რომ იგი აწამეს და გააუპატიურეს. ქ. ნიჟნი ნოვგოროდის პროკურატურამ (*прокуратура г. Нижний Новгород*) ამასთან დაკავშირებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. ამ

საქმეში მეორე განმცხადებელს ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლის სტატუსი.

36. 2000 წლის 25 აპრილს Kh.-ს, Zh.-ს, S.-სა და M.-ს ბრალი წაუყენეს დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე, 132-ე და 286-ე მუხლებით.
37. 2000 წლის 5 ივლისს ხელი მოეწერა საბრალდებო დასკვნას და საქმე Kh.-ის, Zh.-ის, S.-ისა და M.-ის წინააღმდეგ განსახილველად გადაეცა ქ. ნიჟნი ნოვგოროდის საქალაქო სასამართლოს (*Нижегородский районный суд г. Нижний Новгород* – „საქალაქო სასამართლო“).
38. საბრალდებო დასკვნაში აღინიშნებოდა, რომ Kh.-ს ბრალი ედებოდა პირველი განმცხადებლის წამებასა და გაუპატიურებაში, მეორე განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ხელისუფლების დისკრედიტაციაში (იხ. 12-15, 16-21, 25-28 და 29-32 პუნქტებში აღწერილი ეპიზოდები). Zh.-ს ბრალი ედებოდა პირველი განმცხადებლის გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ხელისუფლების დისკრედიტაციაში (იხ. პუნქტები 22-24 და 29-32). რაც შეეხება S.-ს, მას ბრალი ედებოდა პირველი და მეორე განმცხადებლების მიმართ არასათანადო მოპყრობაში, ხელისუფლების დისკრედიტაციაში (იხ. პუნქტები 16-21 და 25-28), პირველი განმცხადებლის გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში, ხელისუფლების დისკრედიტაციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში (იხ. პუნქტები 29-32). სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულში ბრალი წარედგინათ, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით: 131-1, 2 (b) და 286-3 (a, b).
39. ჩანს, ბრალდებულებმა უარყვეს მათი მონაწილეობა განსახილველ სისხლის სამართლის დანაშაულში, ინარჩუნებდნენ დუმილის უფლებას და უარი თქვეს შარდისა ან სპერმის ანალიზის ჩაბარებაზე.
40. საბრალდებო დასკვნა პრინციპულად ეყრდნობოდა პირველი და მეორე განმცხადებლების მტკიცებულებებს, რომლებმაც ამოიცნეს დამნაშავეები და ძალიან დეტალურად აღწერეს მომხდარი მოვლენები.
41. საბრალდებო დასკვნა ასევე იხსენიებდა მოწმე B.-ს განცხადებას, რომელმაც გაიგონა Kh.-ს ყვირილი და პირველი

განმცხადებლის კვნესა, ხოლო შემდეგ ნახა პირველი განმცხადებელი, ატირებული და დემორალიზებული. B.-მ ასევე მოიყვანა Kh.-ს განცხადება, რომლის მტკიცებითაც პირველმა განმცხადებელი ყველაფერს „ამტვრევდა“...

42. აქვე იყო მოწმეების – Rb.-ს, Ea.-სა და Ia.-ს – ჩვენებები, ასევე, თანაშემწე ექთონისა და ექიმის, პირველი განმცხადებლის მშობლების, მეორე განმცხადებლის დედისა და მალაზიის გამყიდველის (რომელმაც საჭმელი და ალკოჰოლური სასმელი მიჰყიდა მეორე განცხადებელს) ჩვენებები (იხ. ზემოთ პუნქტი 28).
43. სხვა მტკიცებულებები ასევე მოიცავდა პოლიციის განყოფილებასა და პროკურატურაში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ ნივთებს: პირველი განმცხადებლის წერილობითი ჩვენება, რომელშიც იგი თავს იდანაშაულებდა და, ექსპერტის აღწერილობით, დაწერილი იყო „ხელის კანკალით“ (იხ. მე-18 პუნქტი); სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ პირველი განმცხადებელი ცდილობდა, გადაეჭრა ვენები (იხ. 30-ე პუნქტი); სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და სხვა მტკიცებულებები. ჩანს, ზოგიერთი სხვა ადამიანი, რომელთა სისხლის სამართლის საქმეს ადრე იძიებდნენ ბრალდებული პირები, ამტკიცებდნენ, რომ ბრალდებულები იყენებდნენ წამების იარაღებს, როგორიცაა გაზის ნილაბი, ელექტროსადენები და ბორკილები.
44. 1999 წლის 31 დეკემბერს სასამართლო სამედიცინო შემოწმების no.650 მიხედვით, Kh.-ს ტანსაცმელზე, რომელიც მას ეცვა 1999 წლის 25 ნოემბერს, აღმოჩენილია ვაგინალური ეპითელიუმის კვალი ანტიგენის იმავე ჯგუფიდან, როგორიცაა პირველი განმცხადებლისა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ Kh.-სა და მის მეუღლეს აქვთ ანტიგენის სხვადასხვა ჯგუფი.
45. 1999 წლის 27 ნოემბერს შენობაში ჩატარებული მოკვლევისას საგამოძიებო ხელისუფლებამ აღმოაჩინა ორი გამოყენებული პრეზერვატივი, ერთი – პოლიციის განყოფილების ეზოში და მეორე – პროკურატურის შენობაში, მე-3 ოთახში, ფანჯრის ქვეშ, კარნიზზე.
46. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი პრეზერვატივის სასამართლო ექსპერტიზა გახდა შესაძლებელი. გენომის კვლევამ გამოავლინა ვაგინალური უჯრედები, რომლებიც 99,9999%-ით ეკუთვნის პირველ განმცხადებელს, ასევე სპერმა და მამაკაცის ურეთრის უჯრედები.

47. იმავე მოკვლევისას პოლიციის განყოფილების ეზოში იპოვეს ორი ცხვირსახოცი, რომლებზეც ასევე იყო სპერმის კვალი.
48. გარდა ამისა, სასამართლო სამედიცინო შემოწმებით, პირველი განმცხადებლის ტანსაცმელზეც – რომელიც ეცვა იმ დღეს – დადგინდა სპერმის კვალი.

D. სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

49. საქმის წინასწარი მოკვლევისას ბრალდებულის ადვოკატმა 2000 წლის 16 აგვისტოს მიუთითა გამოძიების სხვადასხვა პროცედურულ ხარვეზზე და მოითხოვა საქმის გადაცემა დამატებითი გამოძიებისათვის.
50. იმავე დღეს საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა ეს განაცხადი და საქმე გადასცა დამატებითი გამოძიებისათვის.
51. სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ხელისუფლებამ სერიოზულად დაარღვია ადგილობრივი პროცედურები გამოძიების პროცესში, რასაც მოჰყვა ბრალდებულის უფლებების დარღვევა და მტკიცებულებათა უმრავლესობა წარმოაჩინა, როგორც დაუშვებელი.
52. კერძოდ, გადაწყვეტილება გამოყოფს მთელ რიგ უზუსტობებსა და ხარვეზებს საქმის წარმართვის პროცესში, მათ შორის, გამომძიებელთა მიმართ გამოძიების დაწყების საგანგებო პროცედურის უგულებელყოფას, ასევე ფაქტს, რომ Kh.-ს, Zh.-ს, S.-სა და M.-ს არ უსარგებლიათ ბრალდებულის პროცედურული სტატუსით 2000 წლის 24 აპრილამდე, რაც ნიშნავს, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება (მოკვლევა, დაკითხვები, ამოცნობა, ექსპერტიზები და სხვა) ამ თარიღამდე ჩატარდა მათი დაცვის უფლების დარღვევით და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოაჩინა დაუშვებლად.

E. აპელაცია და სამართალწარმოებები

53. საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ნიჟნი ნოვგოროდის საოლქო სასამართლომ (*Нижегородский Областной Суд* – „რეგიონული სასამართლო“) 2000 წლის 13 ოქტომბერს.
54. 2001 წლის სექტემბერში, დაუზუსტებელ დღეს, პირველი განმცხადებლის ადვოკატმა წარადგინა საკასაციო საჩივარი – 2000 წლის 16 აგვისტოსა და 13 ოქტომბრის

გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის წინაშე და მოითხოვა მათი ხელახალი გამოძიება საზედამხედველო განხილვის გზით.

55. 2001 წლის 1 ოქტომბერს ადვოკატმა მსგავსი საკასაციო საჩივარი წარადგინა რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოში (*Верховный Суд РФ* – „უზენაესი სასამართლო“).
56. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, 2002 წლის 6 ივნისს, საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა უარყო განმცხადებლის მოთხოვნა გადაწყვეტილებათა ხელახალი განხილვის შესახებ საზედამხედველო განხილვის გზით.
57. როგორც ჩანს, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომაც 2002 წლის 21 ივნისს.

F. სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტა

58. 2001 წლის 21 იანვარს საოლქო პროკურატურამ (*Нижегородская областная прокуратура*) განიხილა საქმე, დაადგინა, რომ ბრალდებები არსებითად ეყრდნობოდა პირველი განმცხადებლის არათანმიმდევრულ და არაღამაჯერებელ განცხადებებს, რომ მტკიცებულებები იყო ურთიერთგამომრიცხავი და დაასკვნა: გამოძიების პროცესში არ გამოვლენილა მყარი მტკიცებულებები ბრალდებულთა წინააღმდეგ.
59. იგი ასევე შეეხო დასკვნებს 2000 წლის 16 აგვისტოსა და 13 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილებებიდან და აღნიშნა: „კანონმდებლობის არაერთი დარღვევა, კერძოდ, საგანგებო სუბიექტებთან – პროკურატურის გამომძიებლებთან – დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის დაწყებისას გამოსაყენებელი პროცედურებისა და წესების უპატივცემულობა, საქმეს უკარგავს სამართლებრივ პერსპექტივას, რამდენადაც შეუძლებელი ჩანს გამოძიებისას დაშვებული დარღვევების გამოსწორება“. ამ მიზეზების გამო გადაწყდა სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტა. გადაწყვეტილება ამბობდა, რომ ამის შესახებ უნდა ეცნობოთ პირველ განმცხადებელსა და ბრალდებულებს და ის შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურატურაში.
60. 2001 წლის 19 ივნისის წერილით (No. 15/1-1018-99), საოლქო პროკურატურამ უპასუხა პირველი განმცხადებლის საკასაციო საჩივარს 2001 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებასთან

დაკავშირებით, სადაც მთლიანად დაეყრდნო მის დასაბუთებასა და დასკვნებს. წერილში არაფერი აღინიშნებოდა გადაწყვეტილების წინააღმდეგ სასამართლოში საკასაციო გასაჩივრების შესახებ.

61. მთავრობის თანახმად, ამ საქმის გამოძიება რამდენჯერმე განახლდა და შეწყდა.
62. 2002 წლის 30 აგვისტოს საოლქო პროკურატურამ გააუქმა მისი 2001 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე წარმოადგინა დამატებითი გამოძიებისათვის. იგი გადაწყვეტილების ნაკლად ასახელებს სამართლებრივი დახასიათების ნაკლებობას მეორე განმცხადებლის მიმართ ქმედებებში.
63. 2002 წლის 16 ოქტომბერს ადგილობრივმა პროკურატურამ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იმ საფუძველზე, რომ არ იყო საკმარისი მტკიცებულებები რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულისა და არ დამტკიცებულა პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომელთა ჩართულობა დანაშაულში.
64. ჩანს, ეს გადაწყვეტილება შემდეგ გაუქმდა, მაგრამ 2002 წლის 24 თებერვალს ადგილობრივმა პროკურატურამ კვლავ შეწყვიტა სამართალწარმოება სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულებათა ნაკლებობის საფუძველზე.
65. 2004 წლის 19 სექტემბერს პირველი განმცხადებლის ადვოკატმა 2002 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოში. 2004 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება და სრულად დაეყრდნო იმავე დასაბუთებას. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა 2004 წლის 29 ოქტომბერს საოლქო სასამართლომ.
66. 2005 წლის 29 აპრილს საოლქო პროკურატურამ კვლავ გადაწყვიტა საქმის სამართალწარმოების განახლება.
67. განმცხადებლის თქმით, 2005 წლის 28 ივნისს სამართალწარმოება კვლავ შეწყდა.
68. მთავრობამ განაცხადა, რომ 2005 წლის 22 აგვისტოს საქმის სამართალწარმოება განახლდა. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდებულმა. 2005 წლის 22 ნოემბერს საქალაქო სასამართლომ გააუქმა სამართალწარმოების განახლების გადაწყვეტილება, როგორც არაკანონიერი. საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო

სასამართლოს 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება. შემდგომში გენერალური პროკურორის მოადგილემ წარადგინა საზედამხედველო განხილვის მოთხოვნა 2005 წლის 22 ნოემბრისა და 30 დეკემბრის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

69. 2007 წლის 1 თებერვალს საოლქო სასამართლომ, როგორც ორგანომ საზედამხედველო განხილვისათვის, განიხილა პროკურორის მოთხოვნა და უკუაგდო იგი, მაგრამ შენიშნა, რომ 2005 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლეთა უკანონოდ შექმნილმა ჯგუფმა და საქმე გადასცა საოლქო სასამართლოს ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის.
70. ამ სამართალწარმოებათა შედეგი გაურკვეველი რჩება, თუმცა, ჩანს, რომ შემდგომი ნაბიჯები არ გადადგმულა პოლიციელთა და გამომძიებელთა წინააღმდეგ – სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

A. გამოყენებული სისხლის სამართლის დანაშაულები

71. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის 1-ლი და მე-2(b) პუნქტების თანახმად, ჯგუფური გაუპატიურება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ორგანიზებული და წინასწარ განზრახული, ისჯება 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.
72. 132-ე მუხლის 1-ლი და მე-2(b) პუნქტებით, ჯგუფურად ჩადენილი ძალადობრივი სექსუალური აქტი – იქნება ეს ორგანიზებული და წინასწარ განზრახული თუ არა – ისჯება 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.
73. 286-ე მუხლის მე-3(a, b) პუნქტებით, თანამდებობის ბოროტად გამოყენება ძალადობით ან ძალადობის მუქარით, იქნება ეს იარაღით ან სხვა საშუალებებით თუ მათ გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

B. მოწმეთა დაკითხვა (1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც შესაბამის დროს იყო ძალაში)

მუხლი 155

„მოწმე დაკითხვაზე უნდა დაიბარონ წერილობითი შეტყობინებით, რომელიც გადაეცემა პირადად მას ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, მისი ოჯახის ზრდასრულ წევრს....

შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს მოწმედ გამოძახებული პირის სახელი; სად, ვის მიერ, რა დღეს და რა დროს მოეთხოვება მას გამოცხადება და რა ელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. მოწმის გამოძახება შეიძლება სატელეფონო ზარის ან ტელეგრაფის მეშვეობითაც“.

მუხლი 157

„მოწმე უნდა დაიკითხოს გამოძიების ადგილას. გამომძიებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მოწმის დაკითხვის შესახებ მისი ადგილმდებარეობის მიხედვით“.

C. დანაშაულის ოფიციალური გამოძიება

74. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე და 125-ე მუხლების თანახმად, სისხლის სამართლის გამოძიება შეიძლება დაიწყოს პროკურატურის გამომძიებელმა – კერძო პირის მოთხოვნის საფუძველზე ან საგამომძიებო ხელისუფლების ორგანოების შუამდგომლობით. კოდექსის 53-ე მუხლი ადგენს, რომ პირს, რომელიც დაზიანდა დანაშაულის შედეგად, ენიჭება მსხვერპლის სტატუსი და შეუძლია შეუერთდეს სისხლის სამართალწარმოებას, როგორც სამოქალაქო მხარე. გამომძიების პროცესში მსხვერპლს შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულებები და აღძრას შუამდგომლობები, ხოლო გამოძიების დასრულების შემდეგ მსხვერპლს უნდა ჰქონდეს სრული წვდომა საქმის მასალებზე.
75. კოდექსის 210-ე და 211-ე მუხლების თანახმად, პროკურორი პასუხისმგებელია გამომძიების ყოველმხრივ ზედამხედველობაზე. კერძოდ, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს განსაკუთრებული საგამომძიებო ღონისძიების განხორციელება, საქმის გამომძიების გადაცემა ერთი გამომძიებლისაგან მეორესთვის, ან სამართალწარმოების ხელახლა დაწყება.
76. კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელს, რომელმაც ჩაატარა გამოძიება, შეუძლია შეწყვიტოს საქმე დანაშაულის

მტკიცებულებათა ნაკლებობის შემთხვევაში. ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში, სასამართლოს შეუძლია, მოითხოვოს სისხლის სამართლის გამოძიების ხელახალი დაწყება, თუ გამოჩნდა, რომ გამოძიება ჩატარდა არასრულყოფილად.

77. კოდექსის 210-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ გამომძიებელმა საქმე შეიძლება ხელახლა დაიწყოს, თუ არსებობს ამის „საფუძველი“. ამ წესის ერთადერთი გამოწვევაა საქმეები, რომელთაც გაუვიდათ დანაშაულის გამოძიების ხანდაზმულობის ვადა.
78. კოდექსის 161-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ როგორც წესი, გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია არ არის საჯარო. ამ ინფორმაციის გავრცელებაზე ნებართვა უნდა გასცენ საგამომძიებო ხელისუფლების ორგანოებმა, თუ ეს ხელს არ შეუშლის გამოძიების სათანადოდ წარმართვას ან არ შეეწინააღმდეგება სამართალწარმოებაში ჩართულ პირთა უფლებებსა და ლეგიტიმურ ინტერესებს. ინფორმაცია სამართალწარმოების მხარეთა პირადი ცხოვრების შესახებ არ შეიძლება გახდეს საჯარო მათი თანხმობის გარეშე.
79. საგამომძიებო ხელისუფლების ორგანოების შესახებ კანონის 42-ე ნაწილი section და გენერალური პროკურორის 1998 წლის 26 ივნისის No. 44 ბრძანებულება decree აწესებს საგანგებო პროცედურას საგამომძიებო ხელისუფლების ორგანოების ოფიციალურ პირთა მიმართ ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე. კერძოდ, ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის ოფიციალური პირები, ვისაც აქვს უფლება, რომ დაიწყოს ამგვარი სამართალწარმოება.

D. სამოქალაქო სამართლის საშუალებები საჯარო მოხელეთა უკანონო ქმედებების წინააღმდეგ

80. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1996 წლის 1 მარტს, ითვალისწინებს კომპენსაციას ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან ქმედებამ ან უმოქმედობამ (მუხლი 1069). სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 1099-1101 მუხლები ითვალისწინებს კომპენსაციას არამატერიალური ზიანისათვის. 1099-ე მუხლი, კერძოდ, აწესებს, რომ

არამატერიალური ზიანისათვის გაიცემა კომპენსაცია, მიუხედავად საზღაურისა მატერიალური ზიანის გამო.

სამართალი

I. მთავრობის წინასწარი პროტესტი

81. მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ სისხლის სამართალწარმოება წამების სავარაუდო ჩამდენების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ეროვნულ დონეზე და იგი თავს იკავებდა ამ საქმის კომენტირებისაგან.
82. რამდენადაც ეს არგუმენტი შეიძლება გავიგოთ, როგორც პრეტენზია განმცხადებლის მიმართ, რომ მან არ ამოწურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, სასამართლო აღნიშნავს: მოპასუხე მთავრობა არ დავობს, რომ განმცხადებელთა მიერ შერჩეული და გამოყენებული გზები ეროვნული ხელისუფლებისათვის თავიანთ საწუხარზე ხმის მისაწვდენად იყო არაეფექტიანი ან სხვა მხრივ შეუფერებელი.
83. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ პირველმა განმცხადებელმა 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენები გაასაჩივრა მეორე დღეს, 1999 წლის 26 ნოემბერს. ამის შემდეგ საქმე დაიხურა და ხელახლა გაიხსნა რამდენჯერმე. 2005 წლის 22 აგვისტოს, პირველი სარჩელიდან 5 წლისა და თითქმის 9 თვის შემდეგ, სისხლის სამართალწარმოება კვლავ განახლდა და 2007 წლის 14 თებერვალს – იმ დღეს, როცა მოპასუხე მთავრობამ წარმოადგინა დამატებითი დაკვირვებები, ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყო საგამოძიებო ეტაპი. საწინააღმდეგო მაჩვენებლების არარსებობის პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას ჰქონდა საკმარისი დრო, განმცხადებელთა უკმაყოფილებისათვის ეპასუხა ეროვნულ დონეზე გამოძიებით. დამატებით, განმცხადებლები სათანადოდ მონაწილეობდნენ სამართალწარმოებაში და საქმის მასალებში არაფერია ისეთი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ ვერ ისარგებლეს სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო შიდასახელმწიფოებრივი საშუალებით, გაესაჩივრებინათ არასასურველი გადაწყვეტილებები ამ საქმეში.
84. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლებმა დააკმაყოფილეს მოთხოვნა იმის

შესახებ, რომ ამოეწურათ სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები და უკუაგდებს მთავრობის პრეტენზიას.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა პირველი განმცხადებლის მიმართ

85. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ პოლიციელებმა და გამოძიების თანამშრომლებმა იგი არაერთხელ გააუპატიურეს და მას არასათანადოდ მოეპყრნენ 1999 წლის 25 ნოემბერს. პირველი განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა სათანადო გამოძიება ამასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-3 მუხლი უზრუნველყოფს, რომ:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

a. მხარეთა არგუმენტები

86. მთავრობა არ დაეთანხმა პირველი განმცხადებლის პრეტენზიებსა და მტკიცებებს და განაცხადა, რომ 2005 წლის 29 აპრილს საოლქო პროკურატურამ განაახლა სისხლის სამართალწარმოება 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით. მათ მიიჩნიეს, რომ მოცემული მომენტისათვის შეუძლებელი იყო დარღვევებზე რეაგირება. შემდგომი დაკვირვებისას მათ ასევე უარი თქვეს სარჩელთა არსებითი მხარეების კომენტირებაზე.

87. პირველი განმცხადებელი იცავდა თავის პრეტენზიებს. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებებია მის მიმართ არასათანადო მოპყრობასა და წამებაზე და მომდევნო გამოძიებამ ვერ დააკმაყოფილა მე-3 მუხლის მოთხოვნები პროცედურული თვალსაზრისით.

B. სასამართლოს შეფასება

88. სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს პირველი განმცხადებლის არგუმენტების განხილვით დაწყებას, რამდენადაც მათში წამოჭრილია კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე,

ხოლო შემდეგ კონვენციის დებულებების არსებით მხარეთა განხილვას.

1. *გამომიების სავარაუდო არაადეკვატურობა*

(a) არასათანადო მოპყრობის დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნის არსებობა

89. თავდაპირველად სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველმა განმცხადებელმა 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენები გაასაჩივრა მეორე დღეს. საგამომიებო ორგანოებმა გაჩხრიკეს შემთხვევის ადგილი, რის შედეგადაც აღმოაჩინეს ორი გამოყენებული პრეზერვატივი და ორი ხელსახოცი, რომლებზეც იყო სპერმის კვალი. 2000 წლის 25 აპრილს დანაშაულში სავარაუდოდ ჩართულ 4 ოფიცერს ბრალი წაუყენეს და 2000 წლის 5 ივლისს მზად იყო საბრალდებო დასკვნა, საქმე კი გადაეცა სასამართლოს არსებითი მხარეების განხილვისათვის.

90. საგამომიებო ხელისუფლების მიერ გამომიების საწყის ეტაპზე შეგროვებული მტკიცებულებებისა და, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ეს მტკიცებულებები მიიჩნია სერიოზულ და საკმარის საფუძვლად დანაშაულში სავარაუდოდ ჩართული ოფიცრებისათვის სისხლის სამართლებრივი ბრალდების წარსადგენად, სასამართლო ადგენს: პირველ განმცხადებელს აქვს დასაბუთებადი სასარჩელო მოთხოვნა, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ სახელმწიფო მოხელეები.

(b) ეფექტიან გამომიებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

91. სასამართლო კვლავ იმეორებს: თუ პირი აღძრავს დასაბუთებად სასარჩელო მოთხოვნას, რომ მას არასათანადოდ მოეპყრო პოლიცია მე-3 მუხლის დარღვევით, ეს დებულება, წაკითხული კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს ზოგად მოვალეობასთან ერთად – „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ ამ კონვენციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“ – ირიბად მოითხოვს ეფექტიანი ოფიციალური გამომიების ჩატარებას. გარდა ამისა,

სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუპატიურება მისი მსხვერპლისათვის აშკარად დამამცირებელი დანაშაულია და, შესაბამისად, ხაზს უსვამს პროცედურულ ვალდებულებას, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კონტექსტში (იხ. *S.W. v. the United Kingdom*, 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 335-B; *C.R. v. the United Kingdom*, 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 335-C; და *M.C. v. Bulgaria*, no. 39272/98, § 153, ECHR 2003-XII). ეფექტიანმა ოფიციალურმა გამოძიებამ უნდა შეძლოს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა (იხ. *Assenov and Others v. Turkey*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Reports 1998-VIII, გვ. 3290, § 102, და *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 131, ECHR 2000-IV). რაც შეეხება ეფექტიანობის მინიმალურ სტანდარტებს, განსაზღვრულს სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ასევე მოიცავს მოთხოვნას, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საჯარო, ხოლო კომპეტენტური ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს სამაგალითო მონდომებითა და სისწრაფით (მაგალითად, იხ. *Isayeva and Others v. Russia*, nos. 57947/00, 57948/00 და 57949/00, §§ 208-13, 24 თებერვალი, 2005).

(c) აღნიშნული პრინციპების გამოყენება

92. ამდენად, დგება საკითხი, შეასრულა თუ არა ხელისუფლებამ თავისი მოვალეობა, ჩაეტარებინა საკითხის ოფიციალური ეფექტიანი გამოძიება.
93. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიება პირველი განმცხადებლის საჩივარზე დაიწყო მაშინვე, რაც მან საქმე აღძრა კომპეტენტური ორგანოების წინაშე და, სულ ცოტა, გარეგნულად მაინც მოქმედებდა მოდნომებითა და სისწრაფით. ამდენად, საგამოძიებო ორგანოებმა გაჩხრიკეს შემთხვევის ადგილი, რის შედეგადაც აღმოაჩინეს ორი გამოყენებული პრეზერვატივი და ორი ხელსახოცი სპერმის კვალით (იხ. პუნქტები 45 და 47). აგრეთვე, დაკითხეს შესაძლო მოწმეები და მოითხოვეს შეგროვებულ მტკიცებულებათა აუცილებელი სასამართლო ექსპერტიზა (იხ. პუნქტები 41, 42, 43 და 46). 2000 წლის 25 აპრილს, შემთხვევიდან მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ, დანაშაულში სავარაუდოდ ჩართულ 4 ოფიცერს ბრალი

წაუყენეს და 2000 წლის 5 ივლისს უკვე მზად იყო საბრალდებო დასკვნა – საქმე გადაეცა სასამართლოს არსებითი მხარეების განსახილველად (იხ. პუნქტი 37).

94. თუმცა, სასამართლო შენიშნავს, რომ საქმის წინასწარი გამოძიების კვალად, 2000 წლის 16 აგვისტოს სასამართლომ აღმოაჩინა ეროვნული პროცედურების არაერთი სერიოზული დარღვევა – ბრალდებულთა უფლებების დარღვევა, მათ შორის, გამომძიებელი ოფიცრების მიმართ გამოძიების დაწყების საგანგებო პროცედურის უგულებელყოფა და ის ფაქტი, რომ დანაშაულში სავარაუდოდ ჩართულმა ოფიცრებმა ბრალდებულის პროცედურული სტატუსით ვერ ისარგებლეს 2000 წლის 25 აპრილამდე, რის გამოც საქმეზე მანამდე შეგროვილი ყველა მტკიცებულება გამოცხადდა დაუშვებლად (იხ. 52-ე პუნქტი). საქმე დაბრუნდა ხელახალი გამოძიებისათვის და მოგვიანებით შეწყდა – გამოძიების მხრიდან, სხვა მიზეზების გარდა, იმის გამო, რომ (იხ. პუნქტები 58 და 59). სასამართლო განხილვაზე დაუშვებლად გამოცხადებულ მტკიცებულებათა ბუნებიდან გამომდინარე, მათი ხელახალი გამოყენება შეუძლებელი იქნება საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გადაცემის შემდეგ. ამ გარემოებათა გამო გასაკვირი არ არის, რომ სისხლის სამართალწარმოება, საბოლოო ჯამში, შეწყდა დანაშაულის მტკიცებულებათა ნაკლებობის მიზეზით.
95. განიხილა რა საქმის გარემოებები, სასამართლო მიიჩნევს: რასაკვირველია მისაღებია ის მოსაზრება, რომ ხელისუფლებამ სათანადო ნაბიჯები გადადგა შემთხვევაზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენისა და დასჯისათვის და არ დაურღვევია ეროვნული პროცედურები პირველი ხუთი თვის განმავლობაში, რასაც მოჰყვა საქმის განხილვის დაწყება, როცა ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცებულებათა უდიდესი ნაწილი დაუშვებლად გამოაცხადეს (იხ. პუნქტები 49, 51-52 და 58-59). შესაძლებელია, სისხლის სამართალწარმოება შეესაბამებოდა მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტების მოთხოვნებს. თუმცა, ფაქტია, რომ კომპეტენტურმა ხელისუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი პროცედურული შეცდომები, რამაც საბოლოოდ ჩიხში შეიყვანა სისხლის სამართალწარმოება დანაშაულში სავარაუდოდ ჩართული ოფიცრების მიმართ.

96. სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ამ შეცდომების სხვა დამაჯერებელი განმარტება. ასეთ პირობებში სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შეცდომათა პრინციპული მიზეზია აშკარა არაკომპეტენტურობა საგამოძიებო ხელისუფლებისა, რომელმაც ჩაატარა გამოძიება 1999 წლის 26 ნოემბერიდან 2000 წლის 5 ივლისამდე.
97. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი – პირველი განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის დარღვევათა ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობის გამო.

2. სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

98. ახლა სასამართლო მიუბრუნდება იმ საკითხს, დაექვემდებარა თუ არა პირველი განმცხადებელი არასათანადო მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

(a) ზოგადი პრინციპები

99. სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას და, როგორც ასეთი, აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას (იხ. მაგალითად, *Aksoy v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1996-VI, p. 2278, § 62, და *Aydın v. Turkey*, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1997-VI, § 81).

რასაკვირველია, მტკიცებულების ტვირთი შეიძლება ეკისრებოდეს ხელისუფლებას, რათა მან წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება (იხ. *Ribitsch v. Austria*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Series A* no. 336, § 34, და *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VII). გარდა ამისა, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ იგი მომეტებულად მგრძნობიარეა მისი მეორეხარისხოვანი როლის მიმართ და ფრთხილობს, საკუთარ თავზე აიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოს როლი, რომელიც იკვლევს ფაქტებს. მიუხედავად ამისა, იგი არ არის შეზღუდული ეროვნული სასამართლოების

დასკვნებით და შეუძლია გადაუხვიოს მათ, როცა ეს გარდაუვალია კონკრეტული საქმის გარემოებათაგან გამომდინარე (იხ. მაგალითად, *Matyar v. Turkey*, no. 23423/94, § 108, 21 თებერვალი, 2002; ამის საპირისპიროდ *Edwards v. the United Kingdom*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 247-B, p. 12, § 34, და *Vidal v. Belgium*, 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, Series A no. 235-B, pp. 32-33, §§ 33-34).

(b) მტკიცებულებათა შეფასება

100. წინამდებარე საქმეში 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებული საწყისი გამოძიებისას აღმოაჩინეს მტკიცებულებები, ორი გამოყენებული პრეზერვატივი, რომელთაგან ერთზე, ძალიან დიდი ალბათობით – 99,9999 %-ით – აღმოჩენილია პირველი განმცხადებლის ვაგინალური უჯრედები (იხ. 46-ე პუნქტი). ასევე ორი ხელსახოცი სპერმის კვალით (იხ. 48-ე პუნქტი). იპოვეს აგრეთვე პოლიციელ Kh.-ს კუთვნილი ტანსაცმელი, რომელზეც იყო ვაგინალური ეპითელიუმის კვალი ანტიგენის იმავე ჯგუფიდან, რომელიც ჰქონდა პირველ განმცხადებელს (იხ. 44-ე პუნქტი), სამედიცინო ცნობა იმის დასტურად, რომ პირველი განმცხადებელი ცდილობდა ვენების გადაჭრას და პირველი განმცხადებლის წერილობითი ჩვენება ხასიათის (იხ. 43-ე პუნქტი). აღნიშნული მტკიცებულებები მტკიცედ ეთანადებოდა პირველი განმცხადებლის მოვლენათა აღწერას, როგორც არაერთჯერადი სავარაუდო გაუპატიურების მიმართ, ასევე ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ქმედების მიმართ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. რა თქმა უნდა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2000 წლის 5 ივლისის საბრალდებო დასკვნა, სხვა რამეებთან ერთად, დაეფუძნა ზემოხსენებულ მტკიცებულებებს, ასევე, რიგი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც წყდებოდა და განახლდებოდა საქმის განხილვა (იხ. პუნქტები 58–70), შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება აღიარებს ბრალდებათა სარწმუნოებას.
101. სასამართლო ასევე ითვალისწინებს მის დასკვნებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით (იხ. პუნქტები 92–97) და ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ზემოთ დასახელებული მტკიცებულებები დაუშვებლად გამოაცხადეს

მხოლოდ პროცედურული ხარვეზების საფუძველზე (იხ. პუნქტები 51 და 52). არც მთავრობას და არც ეროვნულ ხელისუფლებას არასოდეს შეუტანია ეჭვი მათ მართებულობაში.

102. შესაბამისად, სასამართლო 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენებს ცნობს იმ სახით, როგორც აღწერა პირველმა განმცხადებელმა.

(c) არასათანადო მოპყრობის სისასტიკის შეფასება

103. სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი აღიარებს ფაქტებს იმ სახით, როგორც წარმოადგინა პირველმა განმცხადებელმა. კერძოდ, რომ ის დააკავეს სახელმწიფო მოხელეებმა და პოლიციის დაწესებულებაში ყოფნისას არაერთხელ გააუპატიურეს და არასათანადოდ მოეპყრნენ სხვადასხვა ფორმით – სცემეს, გუდავდნენ და იყენებდნენ ელექტროშოკს (იხ. ზემოთ 105-ე პუნქტი და ფაქტების ნაწილში პუნქტები 12-34).

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პატიმრობაში მყოფი პირის გაუპატიურება სახელმწიფო მოხელის მხრიდან უნდა ჩაითვალოს არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და ამაზრზენ ფორმად დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს მსხვერპლის მოწყვლადობითა და სისუსტით. გარდა ამისა, გაუპატიურება მსხვერპლს უტოვებს ღრმა ფსიქოლოგიურ ჭრილობებს, რაც დროთა განმავლობაში არ გადის ისე სწრაფად, როგორც ფიზიკური და სულიერი ძალადობის სხვა ფორმები. ამასთან, მსხვერპლი განიცდის ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ძალადობრივი აქტისას, რაც უტოვებს დამცირებისა და ძალადობის განცდას, როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ დონეზე (იხ. *Aydın-ის* ზემოთ მოყვანილი საქმე, § 83).

105. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის ეჭვგარეშეა, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ ფიზიკური ძალადობის აქტების ნაკრები (იხ. პუნქტები 13, 14, 17, 21 და 31-32) და განსაკუთრებით სასტიკი ქმედება – არაერთი გაუპატიურება (იხ. პუნქტები 14 და 31-32) – უტოლდება წამებას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

III. კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევა პირველი განმცხადებლის მიმართ

106. პირველი განმცხადებელი, კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით, ასევე ჩიოდა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევის სათანადო გამოძიება.
107. მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით, თავისი ზემოთ მოყვანილი დასკვნის გათვალისწინებით, 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიების შესახებ სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებისათვის კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევის საკითხი ცალკე არ დგას.

IV. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა მეორე განმცხადებლის მიმართ

108. მეორე განმცხადებელიც ჩიოდა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე 1999 წლის 25 ნოემბერს და მასთან დაკავშირებული ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობაზე. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს.

A. მხარეთა არგუმენტები

109. მთავრობა არ დაეთანხმა ამ სარჩელს. მათი მსჯელობა, დაახლოებით, ისეთივე იყო, როგორიც პირველი განმცხადებლის შემთხვევაში (იხ. პუნქტები 86 და 87).
110. მეორე განმცხადებელი იცავდა თავის სარჩელს.

B. სასამართლოს შეფასება

1. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა

111. სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე განმცხადებელს ჰქონდა დანაშაულის მსხვერპლის სტატუსი იმ საქმეში, რომელიც დაიწყო პირველი განმცხადებლის 1999 წლის 26 ნოემბრის სარჩელის საფუძველზე (იხ. პუნქტი 35). გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოებმა საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნიეს არა მხოლოდ Kh.-სა და S.-ის ბრალდებისათვის – თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მეორე განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობაში – არამედ აგრეთვე საბრალდებო დასკვნის მოსამზადებლად

ამასთან დაკავშირებით და საქმის სასამართლო განხილვისათვის გადასაგზავნად (იხ. პუნქტი 37).

112. აღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე განმცხადებელს ჰქონდა დასაბუთებადი სასარჩელო მოთხოვნა, რომ მას არასათანადოდ მოეპყრნენ სახელმწიფო მოხელეები.
113. სასამართლო კვლავ იმეორებს: თუ პირი აღძრავს დასაბუთებად სასარჩელო მოთხოვნას, რომ მას არასათანადოდ მოეპყრო პოლიცია მე-3 მუხლის დარღვევით, ეს დებულება, წაკითხული კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს ზოგად მოვალეობასთან ერთად – „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ ამ კონვენციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“ – ირიბად მოითხოვს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარებას. ამდენად, ისმის კითხვა, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი მოვალეობა – ჩატარებინა საკითხის ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება.
114. სასამართლო შენიშნავს, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა სხვადასხვა ხარვეზისა და შეცდომის საფუძველზე, რაც დაუშვეს საგამოძიებო ორგანოებმა იმავე სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ეხებოდა პირველ განმცხადებელს (იხ. პუნქტები 92-97). ამ დასკვნის გათვალისწინებით, ასევე იმის გამო, რომ 95-ე პუნქტში მოყვანილი მიზეზები მართებულია მეორე განმცხადებელთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა მეორე განმცხადებლის მიმართაც – არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობის გამო.

2. სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

(a) მტკიცებულების შეფასება

115. სასამართლო კვლავ იმეორებს იმას, რაც პრეცედენტული სამართლით დაადგინა: ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას პატიმრობაში მყოფი ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა. მტკიცებულებათა შეფასებისას მან გამოიყენა მტკიცებულების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი. მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს

საკმარისად მკაცრი, ცხადი და შეთანხმებული დასკვნების ერთობლიობიდან, ან ფაქტების უტყუარი ვარაუდებიდან (იხ. ციტატა პუნქტებში 99-100).

116. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შენიშნავს: მეორე განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას სცემდნენ და გუდავდნენ პოლიციის ოფიცრები 1999 წლის 25 ნოემბერს, 6:30–7:00 საათამდე (იხ. პუნქტები 25-28). სასამართლო შენიშნავს, რომ ნებისმიერი არასათანადო მოპყრობა, თუ ის განხორციელდა იმ გზით, როგორსაც განმცხადებელი აღწერს, დატოვებდა ნიშნებს მის სხეულზე, რასაც ექიმი შეამჩნევდა და დაადასტურებდა. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ მის ხელთ არსებული მასალები არ შეიცავს რაიმე ასეთ სამედიცინო მტკიცებულებას და არ იძლევა საშუალებას, „გონივრულ ეჭვს მიღმა“ დაადასტუროს მოვლენების მეორე განმცხადებლისეული აღწერა ამასთან დაკავშირებით.
117. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 12 დეკემბერს მან მოსთხოვა მთავრობას, წარმოედგინა შიდა გამოძიების მასალათა ასლები საქმეზე, რომელიც 1999 წლის 25 ნოემბერს გაიხსნა, რამდენადაც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს საკვანძო მნიშვნელობა აქვს წინამდებარე საქმის ფაქტების დადგენაში, რადგან შეეხებოდა მეორე განმცხადებლის აღნიშნულ დარღვევებს. ამის პასუხად, მთავრობამ წარმოადგინა მხოლოდ იმ პროცედურული გადაწყვეტილებების ასლები, რომელთა თანახმადაც, წყდებოდა და ხელახლა იხსნებოდა სისხლის სამართალწარმოებები, ხოლო სხვა დოკუმენტების წარმოდგენაზე უარი განაცხადა.
118. რამდენადაც მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე დამაჯერებელი განმარტება ამ უართან დაკავშირებით (იხ. პუნქტები 128-31 ქვემოთ), და სასამართლო ითვალისწინებს ზემოთ ციტირებულ პრინციპებს, იგი ადგენს, რომ მას შეუძლია მთავრობის ამგვარი ქცევიდან გარკვეული დასკვნები გამოიტანოს ამ საკითხთან დაკავშირებით.
119. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სამართალწარმოებისას მეორე განმცხადებელმა წარმოადგინა 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენების ცხადი და დამაჯერებელი აღწერა, რაც მოგვიანებით გაამყარა საგამოძიებო ხელისუფლების მიერ შეგროვებულმა მტკიცებულებებმა. საგამოძიებო ხელისუფლების შეგროვებული მასალები

სავსებით საკმარისი ჩანს იმისათვის, რომ საფუძვლად დაედოს ოფიცრების Kh.-სა და S.-ის სისხლის სამართლებრივ ბრალდებას – თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მეორე განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობაში – ასევე, საქმის სასამართლო განხილვაზე გადასაცემად (იხ. პუნქტები 38-48). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მას არ განუხილავს არავითარი მასალა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა მეორე განმცხადებლის განცხადებების ან მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობას. გარდა ამისა, არც ეროვნულ ხელისუფლებას და არც მთავრობას არ წარმოუდგენია მოვლენათა ალტერნატიული აღწერა ამ სამართალწარმოებებისას.

120. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გამოძიების პროცესში რყევების შესახებ მისი ადრინდელი დასკვნების მხედველობაში მიღებით, ასევე იმ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც სასამართლომ აღიარა 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევის პირველი განმცხადებლისეული აღწერა (იხ. პუნქტები 102-05), სასამართლო 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევებს იგებს ისე, როგორც ეს წარმოადგინა მეორე განმცხადებელმა.

(b) არასათანადო მოპყრობის სისასტიკის შეფასება

121. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან ფაქტები მიიღო ისე, როგორც ის წარმოადგინა მეორე განმცხადებელმა, კერძოდ: მეორე განმცხადებელი დააკავეს სახელმწიფო მოხელეებმა და პატიმრობისას მას სცემდნენ, ურტყამდნენ და გუდავდნენ (იხ. პუნქტები 25-27).
122. ითვალისწინებს რა საქმის ყველა გარემოებას, როგორიცაა არასათანადო მოპყრობის ხანგრძლივობა და მისი ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები, სასამართლო ასკვნის: თუ მომხდარს მთლიანობაში განვიხილავთ და გავითვალისწინებთ მის მიზანსა და სისასტიკეს, განსახილველი არასათანადო მოპყრობა გაუტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

V. კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა მეორე განმცხადებლის მიმართ

123. გარდა ამისა, მეორე განმცხადებელი ჩიოდა სათანადო გამოძიების ნაკლებობაზე, კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დაყრდნობით.
124. მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით თავისი ზემოთ მოყვანილი დასკვნის გათვალისწინებით (იხ. პუნქტი 117), 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევის ეფექტიან გამოძიების შესახებ სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებისათვის კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევის საკითხი ცალკე არ დგას.

VI. კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტთან შესაბამისობა

125. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით აღძრული ინდივიდუალური განაცხადების სისტემის ეფექტიანი მუშაობისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა აუცილებელი საშუალება, რათა შესაძლებელი გახდეს განაცხადთა სათანადო და ეფექტიანი განხილვა (იხ. *Tanrıkuş v. Turkey* [GC], no. 23763/94, § 70, ECHR 1999-IV). ეს ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოსაგან, აღჭურვოს სასამართლო ყველა საჭირო საშუალებით, თუკი ის გამოძიებას წარმართავს ფაქტების გამოვლენის მიზნით ან ასრულებს თავის ზოგად მოვალეობას – განიხილავს განაცხადებს. თუ სახელმწიფო არ წარმოადგენს ამგვარ ინფორმაციას, რომელიც მის ხელთაა, და ამის მიზეზს არ განმარტავს დამაკმაყოფილებლად, იძლევა არა მარტო იმის დასკვნის საშუალებას, რომ განმცხადებლის ბრალდებები დასაბუთებულია, არამედ ნეგატიურად იმოქმედებს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებათა დაცვაზეც (იხ. *Timurtaş v. Turkey*, no. 3531/94, § 66, ECHR 2000-VI). იმ საქმეებში, სადაც განაცხადში დასმულია გამოძიების ეფექტიანობის საკითხი, სისხლის სამართლებრივი გამოძიების დოკუმენტებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ფაქტების დადგენისათვის და, ასეთის არარსებობისას, შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს მხრიდან სარჩელის

სათანადოდ განხილვის საკითხი, როგორც დასაშვებობის, ასევე არსებითი მხარეების განხილვის ეტაპზე.

126. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 12 დეკემბერს მან მოსთხოვა მთავრობას, წარმოედგინა 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევასთან დაკავშირებული გამოძიების მასალები. საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებს სასამართლო საკვანძოდ მიიჩნევდა წინამდებარე საქმეში ფაქტების დასადგენად. პასუხად, მთავრობამ წარმოადგინა მხოლოდ პროცედურულ გადაწყვეტილებათა ასლები, რომელთა საფუძველზეც წყდებოდა და ხელახლა იწყებოდა სისხლის სამართალწარმოება. მათ უარი თქვეს რაიმე სხვა დოკუმენტის წარმოდგენაზე.
127. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე განმარტება იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ დაფარა საკვანძო ინფორმაცია, რომელსაც სასამართლო ითხოვდა.
128. ითვალისწინებს რა მოპასუხე მთავრობის მხრიდან თანამშრომლობის აუცილებლობას კონვენციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში და სირთულეებს საქმეში ფაქტების დადგენის მხრივ, რასაც ვხვდებით წინამდებარე საქმეში, სასამართლო ასკვნის, რომ რუსეთის მთავრობა ვერ ასრულებს კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტით დაკისრებულ ვალდებულებას იმის გამო, რომ არ წარმოადგინა 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხოვნილი დოკუმენტები.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

129. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზიანი

130. პირველი განმცხადებელი ითხოვდა 70,000 ევროს (EUR) მეორე განმცხადებელი კი – 30,000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის.
131. მთავრობა აპროტესტებდა, რომ საქმეში დარღვევების დადგენისთვის კომპენსაცია უნდა შეეფარდოს დასაბუთებულად.
132. სასამართლო აღნიშნავს: მან ზემოთ დაადგინა, რომ პირველმა განმცხადებელმა ხელისუფლების მხრიდან განიცადა არაერთი გაუპატიურება და არასათანადო მოპყრობა, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით. ამავე დებულების თანახმად, მან ასევე დაადგინა, რომ არ ჩატარებულა 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევათა ეფექტიანი გამოძიება პირველ განმცხადებელთან დაკავშირებით. ითვალისწინებს რა კონვენციის დარღვევათა სერიოზულობას, აგრეთვე დადგენილ პრეცედენტულ სამართალს (იხ. ზემოხსენებული *Aydın-ის საქმე*, §§ 126-31, *Mikheyev v. Russia*, no. 77617/01, § 163, 26 იანვარი, 2006, და *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, § 123, ECHR 1999-V), სასამართლო პირველ განმცხადებელს აკუთვნებს მოთხოვნილ თანხას მთლიანად, კერძოდ, 70,000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის, პლუს ნებისმიერი სახის გადასახადს, რითაც ეს თანხა შეიძლება დაიბეგროს.
133. რაც შეეხება მეორე განმცხადებელს, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლება მას არაადამიანურად და ღირსების შემლახველად მოეპყრო, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით. ამასთან, არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება ამავე დებულების დარღვევით. ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიან საწყისებზე, სასამართლო მეორე განმცხადებელს აკუთვნებს 10,000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის, პლუს ნებისმიერი სახის გადასახადს, რითაც ეს თანხა შეიძლება დაიბეგროს.

B. ხარჯები და დანახარჯები

134. განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ მოთხოვნა ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად. შესაბამისად, სასამართლო არ მოითხოვს ანაზღაურებას.

C. საურავი

135. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. უკუაგდებს სასამართლოს წინასწარ პრეტენზიას;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პირველი განმცხადებლის მიმართ, რადგან არასაკმარისად ეფექტიანად გამოიძიეს 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევები;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან სახელმწიფო მოხელეებმა არაერთხელ გააუპატიურეს პირველი განმცხადებელი და არასათანადოდ მოეპყრნენ მას;
4. ადგენს, რომ დამოუკიდებლად არ დგას კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევის საკითხი, პირველი განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობის თვალსაზრისით;
5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მეორე განმცხადებლის მიმართ, რადგან 1999 წლის 25 ნოემბრის შემთხვევები არ გამოიძიებულა საკმარისად ეფექტიანად;
6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი – სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მეორე განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო;
7. ადგენს, რომ დამოუკიდებლად არ დგას კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევის საკითხი, მეორე განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობის თვალსაზრისით;
8. ადგენს, რომ მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი (a) პუნქტის მოთხოვნები, რამდენადაც უარი თქვა, წარმოედგინა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები;

9. ადგენს

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, გადაუხადოს პირველ განმცხადებელს 70,000 ევრო (სამოცდაათი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ – სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება გახდება საბოლოო, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსულ რუბლებში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, პლუს ნებისმიერი სახის გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;

(ბ) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, გადაუხადოს მეორე განმცხადებელს 10,000 ევრო (ათი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ – სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება გახდება საბოლოო, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსულ რუბლებში, გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, პლუს ნებისმიერი სახის გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა;

(გ) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, გადახდის დღემდე, ამ თანხაზე დაეკისრება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისთვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი;

10. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და წერილობით გაცხადებულია 2008 წლის 24 იანვარს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
რეგისტრატორი

ლუკის ლუკაიდესი
პრეზიდენტი

